ოქმი:**ო03. 3726272001**

თარიღი:**29/09/2026**

ოქმი № 10

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის სხდომის

2026 წელი, 25 სექტემბერი

ქ.ოზურგეთი

16-00 - საათი

თავმჯდომარეობდა: გელა ჩავლეშვილი- მუდმივმოქმედი კომისიის თავმჯდომარე.

ესწრებოდნენ: კომისიის წევრები: დ. კიკვაძე, ნ. გობრონიძე, ბ.თოიძე, ქ.ხომერიკი,დ.თოიძე, ნ.გოლიაძე, გ.მდინარაძე, დ.ასათიანი, თ.ქინქლაძე.

სხდომის თავმჯდომარემ, კომისიის წევრებს გააცნო დღის წესრიგი, რომელიც დაამტკიცეს ერთხმად.

დღის წესრიგი

1. ,,ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირთა, საკრებულოს აპარატის საჯარო მოსამსახურეთა თანამდებობრივი სარგოების ოდენობების განსაზღვრისა და საკრებულოს აპარატის საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ“ - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 18 იანვრის №6 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

მომხსენებელი: გ.ჩავლეშვილი

მომხსენებელმა, მუდმივმოქმედი კომისიის თავმჯდომარემ გ. ჩავლეშვილმა კომისიის წევრებს მოკლედ გაცნო დღის წესრიგის საკითხი.კომისიის წევრებმა მიზანშეწონილად მიიჩნიეს თანამდებობრივი სარგოების ოდენობების განსაზღვრისა და საკრებულოს აპარატის საშტატო ნუსხის დამტკიცების თაობაზე,დადგენილების პროექტის წარდგენა,საკრებულოს ბიუროსა და საკრებულოს მომდევნო სხდომაზე განხილვისა და საჯარო ადმინისტრაციული წარმოების დაწყების მიზნით. კომისიის წევრებმა იმსჯელეს და

გადაწყვიტეს:

კომისიის სხდომის დღის წესრიგში შეტანილი საკითხი წარედგინოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროსა და საკრებულოს მორიგ სხდომას განხილვისა და საჯარო ადმინისტრაციულ წარმოებაზე დაყენების მიზნით.

გელა ჩავლეშვილი

საფინანსო-საბიუჯეტო კომისია-კომისიის თავჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

